

„დამტკიცებ“

შეთანხმებულია”

სსიპ კოლეჯ მოდუსის დირექტორი

შს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახურის უფროსი

30 დეკემბერი 2021 წ

„-----“ ----- 2021 წ

სსიპ კოლეჯ მოდუსი მარნეულის საგანგებო მართვის გეგმა

შემუშავებულია სსიპ კოლეჯ მოდუსის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და

დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯ მოდუსის დირექტორი, ნინო ქავთარაძის მიერ, ქალაქი რუსთავი

2021 წლის „30 დეკემბრის # 396 ბრძანებით (იხ.დანართი 1), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად.

2021 წელი

საგანგებო მართვის გეგმა

I თავი

1. შესავალი

სსიპ კოლეჯი მოდუსის საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სსიპ კოლეჯი მოდუსის საქმიანობის საფუძველს. იგი უზრუნველყოფს, საობიექტო დონეზე, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

სსიპ კოლეჯი მოდუსი მოქმედებს **დანართი №2 -ში** წარმოდგენილი, ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან სსიპ კოლეჯი მოდუსის თანამშრომელთა და სტუდენტთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა.

- საობიექტო დონეზე საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება.

- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, კოლეჯის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა.

- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის საობიექტო დონეზე რესურსების განსაზღვრა.

1.3 სსიპ.კოლეჯი მოდუსის(მარნეული) განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია:

ნინო მთვარელიძე, სსიპკოლეჯი მოდუსი(მარნეული) მენეჯერი,

1.3.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა: 9

1.3.3. შენობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა.

სსიპ კოლეჯი მოდუსი(მარნეული) ძირითადი შენობის მისამართი:

სსიპ კოლეჯი მოდუსი(მარნეული) მისამართია საქართველო, ქ.მარნეული, იაღლუჯის დასახლება, ყოფილი პნევმოტრანსის ტერიტორია. სსიპ კოლეჯი მოდუსი(მარნეული) შენობა აშენებულია 2021 წელს და მისი დანიშნულებათა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. მიწის ნაკვეთი რომელზედაც არის ხსენებული სსიპ კოლეჯი მოდუსი (მარნეული) ხასიათდება სწორი რელიეფით, რომელიც მცირე ბალახოვანი საფარით არის დაფარული და ალაგ-ალაგ გვხვდება რამდენიმე ბუჩქოვანი მცენარე. მას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მოასფალტებული იაღლუჯის ქუჩა, დასავლეთიდან გრუნტის გზა, ჩრდილოეთიდან რკინიგზის სადგურის საქმიანი ეზო და აღმოსავლეთიდან კი ცარიელი მიწის ნაკვეთი. გარშემო ტერიტორია დაუსახლებელია. დასავლეთის მხარეს არსებული გრუნტის გზის გადაღმა დგას სამი ერთსართულიანი შენობა, რომლებიც ამჟამად არ ფუნქციონირებენ. აღმოსავლეთის მხარეს მდებარე მოსაზღვრე ნაკვეთზეც ასევე მიტოვებული ერთსართულიანი შენობებია განთავსებული. ნაკვეთზე არ გვხვდება არანაირი საინჟინრო და საკომუნიკაციო ხაზოვანი ნაგებობა შენობა სამსართულიანია და თანამედროვე არქიტექტურული ფორმებით ხასიათდება. მთავარი ფასადის დიდი ნაწილი უკავია თანამედროვე ვიტრაჟს. დანარჩენი ფასადებიც ალუკა-ბონდის სისტემის პანელებით არის მოპირკეთებული და ფართე ვიტრაჟებია განთავსებული, რომელთა საშუალებით მიიღწევა გარე და შიდა სივრცეების მაქსიმალური კავშირი და კარგი განათება. შენობაში განთავსებულია 2 ლიფტი და ისინი მთლიანად ადაპტირებულია შ.შ.მ. პირთათვის. შენობა აღჭურვილია გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის ცენტრალური სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს წლის ნებისმიერ დროს სწავლისთვის საჭირო კლიმატის შექმნას, გარდა სასწავლო კორპუსისა, სასწავლებლის ეზოში განთავსებულია ღია სპორტული მოედანი, რომელიც ასევე უახლესი ტექნოლოგიით დამზადებული მასალებით არის შესრულებული და ასევე განთავსებულია სასათბურე მეურნეობა, რომელიც აგებულია უახლესი სტანდარტების გათვალისწინებით. ეზოში მოწყობილია გამწვანების გაზონები, სკვერი თავისი მოსასვენებელი სკამებით, მოასფალტებული გზები და ავტოსადგომი.

შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები: 1. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 83.20.01.585 2. მიწის ნაკვეთის ფართი 9022,0 კვ.მ 3. განაშენიანების ფართი 1115,6კვ.მ შენობის საერთო ფართი 3141,83 კვ.მ მათ შორის: ა. სასწავლო აუდიტორიის ფართი 888,65 კვ.მ ბ. საოფისე ფართი 106,5 კვ.მ გ. საზაფხულო ფართი 164,08 კვ.მ დ. სარდაფის ფართი (სასაწყობე) 870,0 ვ.მ ე. კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართი 1014,9 კვ.მ ვ. დამხმარე ფართი (სან-კვანძები) 97,68 კვ.მ

1.4 საგანგებო შტაბი და მისი ფუნქციონალური მოვალეობები

სსიპ კოლეჯ მოდუსში (მარნეული) ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის ნინო მთვარელიძე სსიპ კოლეჯ მოდუსის (მარნეული) მენეჯერი ხოლო მის მოადგილე - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი, რომელიც დანიშნულია ობიექტის ხელმძღვანლის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ოპერატიულ მორიგეს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებს წერილობით მოხსენებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდასაობიექტო ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- ოპერატიულ დონეზე ურთიერთთანამშრომლობს საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივ ოპერატიულ ცენტრთან;
- სსიპ კოლეჯ მოდუსი (მარნეული) რეაგირების ძალების ხელმძღვანელებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევებისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

| № | საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია | ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია | საგანგებო შტაბის წევრის საკურატორო ფუნქციის აღწერის დანართი |
|---|---|--|---|
| 1 | საგანგებო შტაბის უფროსი | სსიპ კოლეჯი მოდუსი მარნეულის მენეჯერი | დანართი № 3 პუნქტი №1 |
| 2 | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში | სსიპ კოლეჯ მოდუსი მარნეულის ადმინისტრაციის მენეჯერი | დანართი № 3 პუნქტი №2 |
| 3 | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე-კავშირგაბმულობისა და | სსიპ კოლეჯ მოდუსი მარნეულის სასწავლო პროცესის ორგანიზების | დანართი № 3 პუნქტი №3 |

| | | | |
|---|------------------------|--------------------------------------|-----------------------|
| | შეტყობინების ხაზით | მენეჯერი | |
| 4 | საგანგებო შტაბის წევრი | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | დანართი № 3 პუნქტი №4 |
| 5 | საგანგებო შტაბის წევრი | უსაფრთხოების ცვლის მორიგე | დანართი №3 პუნქტი №5 |

1.5 არსებული ადრეული გაფრხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრხილების სისტემას წერმოადგენს პროფესიული სტუდენტების და თანამშრომლების შეტყობინება ელექტრო და ტექნიკური ზარის გამოყენებით, რომელიც კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის განუწყვეტლად 3-4 წუთის განმავლობაში. ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით (საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა დანართი №4).

1.6 სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (მოცემულია დანართი N6-ში).

II თავი

საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად;

2.1.1 მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ა) ქვეყნის (ადგილის) სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები: **მიწისძვრა, ძლიერი სეტყვა ქარიშხლით, ხანძარი.**

სსიპ კოლეჯ მოდუსი მარნეულის შენობა არის ახალი აგებული და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით გამართულია მაღალ დონეზე, ასევე აღჭურვილისა უახლესი სახანძრო უსაფრთხოების შიდა წყალმომარაგების სისტემით. დაცულია ელექტრო უსაფრთხოების სტანდარტები და მოთხოვნები. მინიმუმამდეა დაყვანილი რისკებისა და საფრთხეების წარმოქმნის ალბათობა, თუმცა მოსალოდნელ საფრთხეებს წარმოადგენს: მიწისძვრა და ძლიერი სეტყვა ქარიშხლით. როგორც რისკების შეფასებით იქნა დადგენილი ადრეულ წლებში ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწისძვრას, რომელსაც მოჰყვა ნგრევა და ადამიანების

დაშავება. მიწისძვრა დამახასიათებელია 5-8 ბალის ოდენობით, რაც საფრთხეა და შესაძლებელია განმეორდეს და მისი პრევენციისთვის ტარდება პროფესიული სტუდენტების და თანამშრომლების ინფორმირება სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებით.

2.12 რისკის შეფასების დრო: 19.11.2021

2.13 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: - სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა კოლეჯის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.14 რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

| № | საფრთხე | ალბათობა | ზეგავლენა | რისკის მახასიათებელი ქულა |
|---|-------------------------|----------|-----------|---------------------------|
| 1 | მიწისძვრა | 6 | 7 | №2 - 42 |
| 2 | ძლიერი სეტყვა ქარიშხლით | 5 | 6 | №3 - 30 |
| 3 | ხანძარი | 2 | 2 | №1 - 4 |

რისკი №1 აღწერა: ქალაქი მარნეული აქტიურია სეისმურობის მხრივ, რაც არ გამოორიცხავს მიწისძვრის წარმოქმნის შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა. მიწისძვრა დამახასიათებელია 5-8 ბალის ოდენობით, რაც საფრთხეა და შესაძლებელია განმეორდეს.

რისკი №2 აღწერა: ქ. მარნეულის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი სეტყვა ქარიშხალით, განსაკუთრებით გაზაფხულზე. მიუხედავად იმისა რომ კოლეჯის შენობა აშენებულია უახლესი სტანდარტებით და საკანონმდებლო მოთხოვნების სრული დაცვით, ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკები და საფრთხეების გამორიცხვა შეუძლებელია.

რისკი №3 აღწერა: მინიმუმადეა ხანძრის წარმოქმნის ალბათობა, გამომდინარე იქიდან, რომ შენობა გამართულია სახანძრო უსაფრთხოების სისტემით და კოლეჯში დანერგილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების და რეგულაციების აღსრულების კონტროლის მექანიზმი, თუმცა ხანძრის გაჩენის საფრთხის გამორიცხვა დაუშვებელია.

2.2 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი №1 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ობიექტზე არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევა, კომუნალურ, ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა და ხანძარიც.

სცენარი №2 რისკის მიხედვით: ძლიერმა სეტყვამ და ქარიშხალმა შესაძლებელია გამოიწვიოს უმართავი სიტუაცია. კერძოდ, საფრთხე ექმნება შენობის გაყვანილობებს, შესაძლებელია გადახადოს სახურავი, დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საშუალებები და მაგისტრალები.

სცენარი №3 რისკის მიხედვით: ხანძრის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს აფეთქებები, გადაიწვას ელექტრო-სისტემა, ცეცხლი მოეკიდოს საწყობს, ლაბორატორიას, ასევე შენობის საოფისე და სასწავლო ნაწილს, ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე ადამიანთა მსხვერპლიც.

III თავი

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება;

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:
მიწისძვრა

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|---|--------------------|---|----------|
| 1 | მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება / კორექტირება / დახვეწა | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 2 | შენობების კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება-შემოწმება | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 3 | დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 4 | შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 5 | შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები | |

| | | | | |
|---|--|---------------------|--|--|
| | ჩამნაცვლებლების განსაზღვრა | | და გადამზადებული პერსონალი | |
| 6 | საოფისე მაგიდების 1.5 მეტრის დაშორებით ფანჯრებისგან განლაგების გადამოწმება | კვარტალში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |
| 7 | საოფისე ავეჯის და ინვენტარის შემოწმება | კვარტალში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |

1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით:

ქარიშხალი

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|--|-----------------------|---|----------|
| 1 | შენობაში მოხდეს საოფისე ინვენტარის განთავსების განსაზღვრა/გადახედვა | კვარტალში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |
| 2 | შენობის შემოწმება | კვარტალში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |
| 3 | შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 4 | შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა | კვარტალში ერთხელ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |

1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით:

ხანძარი

| # | ლონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|--|---|--------------------------------------|----------|
| 1 | ელექტრო სისტემის გადამოწმება | თვეში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |
| 2 | ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლმაქრების) და სისტემების (საგანგაშო მაუწყებლობის, სისტემის) გადამოწმება | თვეში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |
| 3 | დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება | თვეში ერთხელ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა | | | | |
| 4 | კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | მუდმივად | |
| | | | | |

ფაზა II: მზადყოფნა

სსიპ კოლეჯ მოდუსი მარნეულის საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფარისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა. რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი მათი ინფორმირების, ისე

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა #1 სცენარის მიხედვით:

| № | გასატარებელი ღონისძიებები | პასუხისმგებელი პირი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |
|---|--|---|-----------------------|----------|
| 1. | პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 2. | თანამშრომლებისთვის სწავლებების/ინსტრუქტაჟის ჩატარება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 3. | საევაკუაციო იმიტირებული წვრთნა | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 4. | საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 5. | სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 6. | კავშირგაბმულობის საშუალებების ტექნიკური გადამოწმება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა | | | | |
| 7 | შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |

| | | | | |
|---|---|---|----------------------|--|
| 8 | შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა - დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 9 | შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |

2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა #2 სცენარის მიხედვით:

| N | გასატარებელი ღონისძიებები | პასუხისმგებელი პირი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |
|---|--|---|-----------------------|----------|
| 1 | პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება წყალმომარაგების და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 2 | საევაკუაციო წვრთნა | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 3 | შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |

2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა #3 სცენარის მიხედვით:

| N | გასატარებელი ღონისძიებები | პასუხისმგებელი პირი | განხორციელების ვადები | შენიშვნა |
|---|---|---|-----------------------|----------|
| 1 | შტაბის წევრებისათვის სათანადო (ევაკუაციის პროცედურები, ხანძართან ბრძოლის, პირველადი სამედიცინო დახმარების და სხვ.) ტრენინგების/ინსტრუქტაჟების | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |

| | | | | |
|---|--|---|----------------------|--|
| | ჩატარება | | | |
| 2 | თანამშრომლებისთვის სწავლებების/ინსტრუქტაჟის ჩატარება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 3 | სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 4 | სახანძრო სფეროში პერსონალისთვის ხანძრის ჩაქრობის იმიტირებული სწავლებების ჩატარება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 5 | პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების/სწავლების ჩატარება ხანძართან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 6 | საევაკუაციო წვრთნა | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა | | | | |
| 7 | შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 8 | შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (პირველ ყოვლისა დამხმარე პერსონალი) ინსტრუქტირება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |
| 9 | შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | ყოველ 6 თვეში ერთხელ | |

ფაზა III. რეაგირება:

3.1 შენობიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე (იხილეთ დანართი #5)

3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით;

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|--|--------------------|---|--|
| 1 | სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112 | „3წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი და ცვლის მორიგე | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 2 | საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე | „10წთ“ | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 3 | სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის | „15წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი და ცვლის მორიგე | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 4 | ხალხის აღრიცხვა | „15წთ“ | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა | | | | |
| 5 | შშპ პირისა და მისი | „5წთ“ | საგანგებო შტაბის | დრო |

| | | | | |
|---|---|-------|--|--|
| | დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან | | წევრები და გადამზადებული პერსონალი | მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 6 | სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ | „5წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი და ცვლის მორიგე | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |

3.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით;

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|---|--------------------|---|--|
| 1 | განგაშის გამოცხადება და შეტყობინება | „3წთ“ | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 2 | სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112 | „5 წთ“ | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 3 | საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის | „10წთ“ | საგანგებო შტაბის უფროსის | დრო მითითებულია |

| | | | | |
|---|--|-------|---|--|
| | მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა | | მოადგილე ევაკუაციის საკითხებში | პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა | | | | |
| 4 | შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან | „5წთ“ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 5 | სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ | „5წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი ცვლის მორიგე | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |

3.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით;

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|---|--------------------|--------------------------------------|--|
| 1 | სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112 | „3წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 2 | საევაკუაციო გეგმის | „10წთ“ | საგანგებო შტაბის | დრო |

| | | | | |
|---|--|--------|---|--|
| | მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე | | უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში | მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 3 | სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის | „15წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი და ცვლის მორიგე | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 4 | ხალხის აღრიცხვა | „15წთ“ | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა | | | | |
| 5 | შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან | „5წთ“ | საგანგებო შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |
| 6 | სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ | „5წთ“ | უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი და ცვლის მორიგე | დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვისა მიზნით |

ფაზა IV. აღდგენა:

4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|---|---------------------------------------|--|----------|
| | მატერიალური სიკეთეების გამოტანა დასუფთავება და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| | დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯის, გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა-შემოწმება. შენობების ვარგისიანობის შემოწმება მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელთან ერთად. | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| | დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 2 | აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | კოლეჯის დირექტორი, შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |

4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით

| # | ღონისძიება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი | შენიშვნა |
|---|------------|--------------------|---------------------|----------|
|---|------------|--------------------|---------------------|----------|

| | | | | |
|---|--|-----------------------|--|--|
| 1 | დაზიანებული შენობის შეფასება | მომხდრიდან 1-2 დღეში | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 2 | მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება | მომხდრიდან 1-2 დღეში | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |
| 3 | აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება | მომხდრიდან მეორე დღეს | კოლეჯის მენეჯერი, შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | |

4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით

| № | ღონისძიება | პასუხისმგებელი პირი | შესრულების პერიოდი | შენიშვნა |
|---|--|--|---------------------------------------|----------|
| 1 | საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად, შენობის სარგებლობისთვის ვარგისიანობის დადგენა | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | |
| 2 | ხანძრით გამოწვეული ნარჩენების უსაფრთხო გამოტანა | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | |
| 3 | დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | |
| 4 | დაზიანებული კომუნიკაციების აღსადგენად ელექტროენერჯის, | შტაბის წევრები და | შემთხვევის დადგომიდან 1- | |

| | | | | |
|---|---|---|---------------------------------------|--|
| | გაზის და წყლის მაგისტრალების აღდგენა/შემოწმება. | გადამზადებული პერსონალი | 2 დღის ვადაში | |
| 5 | განადგურებული ტექნიკის მოშორება | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | |
| 6 | აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება | შტაბის წევრები და გადამზადებული პერსონალი | შემთხვევის დადგომიდან 1-2 დღის ვადაში | |

IV თავი

გეგმის დანართები:

| დანართის № | დანართის დასახელება |
|------------|--|
| 1 | ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ |
| 2 | სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი |
| 3 | საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები |
| 4 | საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა |
| 5 | შენობებიდან ევაკუაციის გეგმები |
| 6 | სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა |



საქართველოს იუსტიციის მინისტრის
კომპლექსური სამსახურების განყოფილება



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 306

რეგისტრაცია

30.12.2021

სსიპ კოლეჯი მოდუსი მარნეულის საგანგებო სიტუაციების მართვის ბუფის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის #452 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #4416 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ს ქსელის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად და უსაფრთხოების ცვლის მიზრის თვრეტი ლომინაშვილის 2021 წლის 20 დეკემბრის N1436410 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

გზამკვლევი

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსი მარნეული“-ის საგანგებო სიტუაციების მართვის ბუფი დანართის #1 შესაბამისად;
2. სსიპ კოლეჯი მოდუსი მარნეულში შეიქმნას საგანგებო შტაბი შემადგენელი შემადგენლობით:
 - 2.1. საგანგებო შტაბის უფროსი - ჩინო მთავრობის მოდუსი მარნეულის მუშაკი;
 - 2.2. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე მუშაკის საკომუნიკაციო - მამუდ მარნაველი ადმინისტრაციის მუშაკი;
 - 2.3. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კომპიუტერული და მტყუნების საკომუნიკაციო - ქვიციანი გურგენიშვილი სასწავლო პროცესის ორგანიზების მუშაკი;
 - 2.4. საგანგებო შტაბის წევრი - აკიანაძე კომუნიკაციო უსაფრთხოების ცვლის უფროსი;
 - 2.5. საგანგებო შტაბის წევრი - ზაფრ მახტაბიძე უსაფრთხოების ცვლის მორიგე;
3. ძალაშიაყვანილი გამოცხადდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2021 წლის 29 დეკემბრის N391 ბრძანება;

4. ბრძანება ძალაში გამოქვეყნებისთანავე;
5. დაცვლის კოლეჯის IT სექციისთვის დიდი მარნეულს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;
6. დაცვლის ადმინისტრაციის მუშაკის მართვის და საკომუნიკაციოების მუშაკის ან კანაძის დოკუმენტი შესასრულებლად გადაეცემა IT სექციისთვის;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე 1 თვის ვადაში რუსთაველის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთაველი, ნოსტრესხელის ქ. #8).

ჩინო გვიგორაძე
დირექტორი



დანართი 2

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;
2. საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ (17.10,1997წ.)
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება №452 „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“;
6. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს კანონი “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ”
8. „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანება.

საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები

| № | საგანგებო შტაბის წევრი (გვარი და სახელი) საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქცია | ამოცანები (მოვალეობები) | საკონტაქტო ტელეფონი | შენიშვნა |
|----|--|---|---------------------|----------|
| 1. | საგანგებო შტაბის უფროსი - ნინო მთვარელიძე | <ul style="list-style-type: none"> - საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს. - თანამშრომლებისთვის / პერსონალისათვის და სტუდენტებისთვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება. მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება. - რეაგირების ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება. - ფორმირებების ინდივიდუალური დაცვისა საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა. - თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში. - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება. - საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება. | 551095948 | |
| 2. | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - მამაედ მირზაევი | <ul style="list-style-type: none"> - ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა, მატერიალურ ფასეულობათა, დოკუმენტების, უნიკალური მოწყობილობების, აპარატურის და სხვათა ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება; - კოლეჯის შენობაში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; - ევაკურებულთა გადასაცვან ავტოტრანსპორტზე აღრიცხვიანობის ორგანიზება; - ევაკუირებულთა პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგების ორგანიზება. ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში, იგი ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> - დროულად შეატყობინოს პერსონალს და სტუდენტებს ევაკუაციის დაწყება; - დროულად გააგზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი; - ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული | 577200526 | |

| | | | | |
|----|--|--|-----------|--|
| | | <p>შემადგენლობით თანამშრომლების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანის მიზნით;</p> <p>- ჩასახლების ადგილებში, ჩასვლის შემდეგ ორგანიზება გაუკეთოს ევაკუირებულთა დროულ დაბინავებას და მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას.</p> | | |
| 3. | საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - ქეთევან გურგენიშვილი | <p>ორგანიზებას უკეთებს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრებასა და სხდომების ორგანიზებას;</p> <p>იგი ვალდებულია დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, რეაგირების ფორმირების და პერსონალის სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.</p> <p>ორგანიზებას უკეთებს მართვის პუნქტის 24 საათიან ფუნქციონირებას, ოპერატიულად იღებს ზემდგომი ორგანოებიდან განკარგულებებს, ბრძანებებს და აწარმოებს მათ აღრიცხვიანობას;</p> <p>ახორციელებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ინფორმაციის შეგროვება და მისი გაცვლის ორგანიზებას; საინფორმაციო ბაზის შექმნა და მისი მუდმივად განახლება.</p> | 557331165 | |
| 4. | საგანგებო შტაბის წევრი - უსაფრთხოების სამსახურის ცვლის უფროსი- ავთანდილ ჭოხონელიძე | <p>ორგანიზებას უკეთებს რეაგირების ძალების საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენით სამუშაოებში ჩართვას;</p> <p>იგი მშვიდობიან პირობებში ვალდებულია;</p> <p>-- იცოდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი. ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;</p> <p>- შეისწავლოს ობიექტზე განლაგებული ყველა შენობა-ნაგებობა და ენერგომომარაგების კანალიზაციი, წყალმომარაგებისა და საკომუნიკაციო ქსელები;</p> <p>- სისტემატიურად ამოწმებდეს ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარიტა და ცეცხლმქრობებით. იცოდეს ცეცხლმქრობეთა ვარგისიანობა, მათი შევსების დრო;</p> <p>- სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; უნდა ამოწმებდეს ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას;</p> <p>- სისტემატიურად უნდა ატარებდეს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას პირად შემადგენლობასთან.</p> <p>- სისტემატიურად უნდა ამოწმებდეს, როგორც პირად ასევე ჯგუფის პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას;</p> <p>- იცოდეს ჯგუფის ქონების ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი;</p> <p>- აქტიურად მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში;</p> <p>- იცოდეს ობიექტზე სუსტი ადგილები, ავარიის შემთხვევაში მისი სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით.</p> <p>ექსტრემალური ვითარების განვითარებისას იგი:</p> <p>მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა.</p> | 555356866 | |

| | | | | |
|----|---|--|-----------|--|
| | | <p>მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თითოეულს ამოცანები და მიიღოს საჭირო აღჭურვილობა;</p> <ul style="list-style-type: none"> - სწრაფად და ენერგიულად იმოქმედოს დაზიანების კერაში დაზარალებულთა გასაყვანად და დახმარების აღმოსაჩენად. აწარმოოს ავარიის შედეგების ლიკვიდაცია. - სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ. - სასწრაფოდ შეატყობინოს ტერიტორიულ სახანძარო-სამაშველო დანაყოფს. - განსაზღვროს ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზირება. - ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა. - ხანძრის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> — შეაფასოს სახანძრო ვითარება. — განსაზღვროს ხანძარსაშიმი ადგილები, ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალების და ტექნიკა. ასევე საჭირო წყლის მოწოდების საშუალებების სახეები და მათი რაოდენობა, უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტი. ასევე მშვიდობიან პირობებში: <ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - სისტემატიურად უწევდეს კონტროლს ობიექტის ტერიტორიაზე სისუფთავისა და პერსონალის მიერ ჰიგიენის დაცვას; - აღმოუჩინოს პირველი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ ადამიანებს; - მუდმივად ზრუნავდეს პირველი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების საჭირო მარაგის სექმნაზე. ექსტრემალურ ვითარებაში იგი: <ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს დაშავებულებისათვის პირველი სამედიცინო დახმარების გაწევას. | | |
| 5. | საგანგებო შტაბის წევრი - უსაფრთხოების ცვლის მორიგე-ზაურ ბახტურიძე | <p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგანგებო მართვის გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით; - მონაწილეობა მიიღოს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - მოამზადოს ანგარიში რეაგირების ფორმირებების აღჭურვის მიზნით. - იცოდეს საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის რაოდენობა, მისი შექმნისა და შენახვის პირობები; - იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვილობა და საწვავ-საცხები მასალის შენახვის პირობები. აწარმოოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა; | 599911297 | |

| | | | | |
|--|--|---|--|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> - სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ. - საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიულ შეკრებას; - იცვას წესრიგს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში; - უზრუნველყოს სავაკუაციო ღონისძიებების ორგანიზებას და წესრიგის დაცვას მისი განხორციელების პროცესში; - მონაწილეობს პრევენციული, მზადყოფნის და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაში საგანგებო მართვის გეგმის ნიხედვით. - შეიმუშაოს და ორგანიზება გაუკეთოს საგანგებო სიტუაციის პრევენციის და მასზე მზადყოფნის ღონისძიებებს; - ორგანიზება გაუკეთოს, მოსალოდნელი საგანგებო ვითარებების მონიტორინგის, პროგნოზირების, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის, შესაძლო დანაკარგებისა და ზარალის შემცირების, ასევე საგანგებო სიტუაციებში ეკონომიკის ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის ამაღლების სფეროში, მიზნობრივი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას; - ორგანიზება გაუკეთოს საგანგებო მართვის გეგმების მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების სწავლებებისა და ვარჯიშებს. | | |
|--|--|---|--|--|


„ვამტკიცებ“

სსიპ კოლეჯ მოდულის დირექტორი


(ნინო ქავთარაძე)

30 დეკემბერი 2021წ.

საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა




საევაკუაციო გეგმები



ს ა მ ვ ა კ უ ა ც ი ო ბ ე ბ ე ა

I სართული



ყურადღება !
არ ისარგებლოთ ლიფტით

საბანგველი სიტუაციების შემთხვევაში
შიიარაღეთ: სიგევი და ღარაკი **112**
სამსახურეო პასსკომუნის
საშაღვითი დაშორებები დატოვით
შეღობა და გაეზარეთ შენობის
აღმოსებნი


| | |
|--|-----------------------------|
| | ძირითადი შეზღვევის გზა |
| | ცხენლადი |
| | სამსახურეო შეზღვევის გზა |
| | შეზღვევის აღმოსებ |
| | ინფორმაციის ცენტრი |

ს ა მ კ ა კ უ ა ც ი ო ბ ე ბ ა

II სართული

ყურადღება !
არ ისარგებლოთ ლიფტით


სამანქმეო სიტუაციების უპროცესუაში
შენიშვნები სივრცე და დანაკვეთი **112**
სამანქმეო განსაკუთრებით
სამანქმეო დასაწყისებში დასაწყისში
შენიშვნა და განმარტებით შემდეგის
აღნიშვნისა



| | |
|--|-------------------------|
| | მინიმალური მანძილი |
| | თხევანები |
| | სამანქმეო განსაკუთრებით |
| | შემდეგის აღნიშვნა |
| | მინიმალური მანძილი |

ს ა მ კ ა კ უ ა ც ი ო ბ ე ბ ა

III სართული



ყურადღება !
არ ისარგებლოთ ლიფტით

**საგანგებო სიტუაციების
შემოსვენება**

შინაგარეთი სივრცე და ღარიანი **112**
სამსახური განსაკუთრების
სამსახური დაუყოვნებლივ დატოვებენ
შენი და გამართვის შემდგომ
აღიშენებენ

| | |
|--|----------------------------|
| | ძირითადი შეგრძელება |
| | ცეცხლამოცი |
| | სამსახური განსაკუთრების |
| | შეგრძელების აღიშენება |
| | ინფორმაციის ცენტრი |

სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა

| დასახელება | რაოდენობა |
|--------------------------------|-------------|
| ცეცხლმაქრი | 15 |
| სახანძრო სტენდი | 1 კომპლექსი |
| ხმის გამაძლიერებელი (რუპორი) | 1ც. |
| ფარანი | 3ც. |
| ბრტყელტუჩა, სახრახნისი, ჩაქუჩი | 1ც. |
| პირველადი დახმარების ყუთი | 2ც. |